პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2025 წლის _____ ნოემბერი, ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზღვისპირა ზოლში განთავსებული სტაციონალური საგუშაგოების (10 სამაშველო კოშკურა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2025 წლის 17 ოქტომბრის MIA 3 25 03407304 წერილის საფუძველზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ზღვისპირა ზოლში განთავსებული სტაციონალური საგუშაგოების (10 სამაშველო კოშკურა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის უსასყიდლოდ, მუდმივ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, თანახმად დანართისა (კოშკურების განთავსების ადგილები).

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზღვისპირა ზოლში განთავსებული სტაციონალური საგუშაგოების (10 სამაშველო კოშკურა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წლის 17 ოქტომბრს შემოსულია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კორესპონდენცია MIA 3 25 03407304, რომელშიც აღნიშნულია რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ზღვისპირა ზოლში დასრულდა სამაშველო კოშკურების მშენებლობის სამუშაოები. შესაბამისად, სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ითხოვს 10 ცალი სამაშველო კოშკურის არსებობის ვადით უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემას. ამასთან, გაცნობებთ რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2025 წლის 22 აპრილის № MIA 0 25 01203435 ბრძანების თანახმად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში ზღვისპირა ზოლში სტაციონალური საგუშაგოების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, აღნიშნული დოკუმენტაცია სამუშაოების შესყიდვის მიზნით გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს - ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ს. აღნიშნული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განხორციელდა საგუშაგოების მოწყობა და ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-მ შესაბამისი ბრძანებით ინფრასტრუქტურული სამუშაოები გადმოსცა მუნიციპალიტეტს საკუთრებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ზღვისპირა ზოლში განთავსებული სტაციონალური საგუშაგოები (10 სამაშველო კოშკურა) სარგებლობაში გადასცეს საქართველოს შინაგან სამეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ზღვისპირა ზოლში განთავსებული სტაციონალური საგუშაგოების (10 სამაშველო კოშკურა) საქართველოს შინაგან სამეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის უსასყიდლოდ, მუდმივ სარგებლობაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე არ იმოქმედებს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**